# ივერია

№ 242 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 242

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



## სამკერვალო
### ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

**შ ე ს ა კ ე რ ა დ**

**ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ანა მერკვილაძისა.**

ტელეფონი № 63. წარმ. № 3.

## სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 27 ოკდომბერს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ დასის-მიერ

ბ-ნ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

**პ ი რ ვ ე ლ ა დ**

## ახალი მოძღვრება

დრამა 4 მოქმ. და 7 სურ. ბარეტისა, თარგ. კანდელაკის მიერ.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ან. აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ნატალია მესხი, ნ. ჩხეიძე, ნებიერიძე, ჯავახიშვილი და სხვ.; ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, ივანიძე, იმედაშვილი, შათირიშვილი, შალიკაშვილი, სარჯველაძე, მატარაძე, იორდანაშვილი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.**

ადგილების ფასი დაკლებულია.

**მზადდება წარმოსადგენად:** «იულიოს კეისარი», «ღალატი» და სხვ.

ამხანაგობის დირექცია.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

## ლ. დ. დონსკოისა

შაბათს, 23 ოკდომბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

## ნ ე რ ო ნ ი

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა რუბინშტეინისა.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩ.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

კვირას, 24 ოკდომბერს,

პეტროვა-ზვინცევის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

## ვერთერი

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა მასსნესი.

მზადდება წარმოსადგენად პირველად M-lle **ფიფი**, 1 მოქმ., მუსიკა ც. კიუისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

გამოვიდა ახალი

## კ ა ტ ა ლ ო გ ი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

ოკტომბრიდან გამოვა ხელახლად

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

**„ჯ ე ჯ ი ლ ი"**

ძველი პროგრამით და იმავე რედაქტორობით

წლიური გამოცემის ფასი 4 მ., ქალაქ გარედ 5 მან.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

## ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**მაჭაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ყვ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ძ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქქრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ნ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საზებით ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. —7 საათ.

**ხ. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ძ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.


## ომის ამბები
### დეპეშები და წერილები.

—

როგორი დამოკიდებულება სუფევს რუს-იაპონიის ჯარის კაცთა შორის? გაზეთ «კავკაზ»-ს შემდეგს აუწყებენ დეპეშით მოსკოვიდან: ნემიროვიჩ-დანჩენკო სწერს «რუსკოე სლოვო»-ს ბრძოლის ველიდან მეტად საინტერესო ამბებს: იქ, სადაც ჩვენი და იაპონელთა თხრილები ერთმანეთს უახლოვდება, მეომარ ჯარის კაცთა შორის დამკვიდრებულია რაღაც არა ჩვეულერივი და თავისებური დამოკიდებულება. მაგ., ნეეინისა ბ ბოლხოვის ჯარის კაცნი სულ რამდენისამე ასის ნაბიჯით არიან დაშორებულნი მოქიშპე მტერზედ. შუაში მხოლოდ მდინარე შახე ჩამოუდის. როგორც კი რომელსამე მათგანს წყალი შემოაკლდება, სანგრების ზემოდ იმ წამსვე აიმართება ხიშტზე წამოგებული ქვაბი. ეს იმის ნიშანია, რომ ორთავე მხარემ სროლა უნდა შეაჩეროს. რაწამს სროლა შესწყდება, ჯარის კაცნი მდინარისაკენ მიეშურებიან, ავსებენ ჰურჭლებს და ისევ უკან ბრუნდებიან თავიანთ სიმაგრეებში. ეს მცირე დროც კი საკმარისია, რომ მოპირდაპირენი აყაყანდნენ და ერთმანეთს მიუძღვნან შესაფერი ქებათა-ქება. იაპონელები შესდგებიან თხრილებზე და იქიდან ხმა-მაღლა უძახიან ჩვენებს: აი, თქვე დაძონძილებო, დათვებო და კიდევ სხვა ათასს რასმე.

მართალი უნდა სთქვას ადამიანმა, ამ უკანასკნელთ სავსებით შეუსწავლიათ ჩვენებურის გინების ლექსიკონი. რასაკვირველია, ჩვენებიც შესაფერს პასუხს აძლევენ ხოლმე. ამის შემდეგ, როგორც კი უკანასკნელი ჯარის კაცი თავის ადგილს დაბრუნდება, ისევ ასტყდება ჩვეულებრივი სროლა და თოფების გრიალი. (კავკ.).

—

**როგორ უნდა მოიქცნენ იაპონელები?** გაზეთ „ნოვოე ვრემია"-ს სამხედრო მიმომხილველი სცდილობს გაიგოს, რა გზას დაადგება იაპონელთა მთავარ-სარდალი ოიამა: დაუყოვნებლივ სცდის ბედს და, როგორც კი შეავსებს ჯარის ზოგიერთ ნაწილებს, იერიშს მიიტანს ჩვენს ეხლანდელს პოზიციებზე და უკან დაგვწევს მუკდენის აქეთ? ამ გვარი მოქმედება სავსებით შეეფერება ეხლანდელ ომის პოლიტიკურ მოსაზრებას, რომლის გეგმაშიაც შედის მანჯურიის დედა-ქალაქის დაპყრობა; მაგრამ, მეორეს მხრით, ამ გვარი ოპერაცია სახიფათოც არის ძალიან, იმიტომ რომ 1 ოკდომბრის იერიში იაპონელთათვის არა სასურველად გათავდა და, შესაძლებელია, რომ შემდეგი იერიშებიც ასე დაბოლოვდეს და ამას თან მოჰყვეს ზოგიერთ მნიშვნელოვან პოზიციების დაკარგვა. შესაძლოა მეორე გარდაწყვეტილებაც—შეიცადოს, ვიდრე პორტ-არტურს აიღებენ, შეუერთოს მომქმედ ჯარს საალყო რაზმების დანარჩენი ნაწილები და შემდეგ მიიტანოს იერიში, რადგანაც კვანტუნის ნახევარ კუნძულზე უშიშრად შეუძლიან გამაგრდეს, ვიდრე ჩვენი მეორე ესკადრა მივიდოდეს. ხოლო, თუ ვინიცობაა პორტ-არტური ვერ აიღეს, ოიამა უნდა გამაგრდეს უკვე აღებულ პოზიციებზე, არაფრის გულისათვის არ დაუთმოს რუსებს და შეაჩეროს მათი წინ-სვლა, ვიდრე პოლიტიკურ საქმეთა მდგომარეობა არ აირევ-დაირევა და ვიდრე რომელიმე სახელმწიფო ჩაერევა ბრძოლაში. (ნ. ვ.).

—

**რად შესდგა ბრძოლა მანჯურიაში?** მეტად დიდი ზარალი მოუვიდათ რუსთაც და იაპონელთაც ინტაისა და შახეს ნაპირებზედ და ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ აგერ 11 დღეა ბრძოლა შემდგარია და ბრძოლის ველზედ წინანდელებრ მედგრად აღარა ჰქუხს ზარბაზნები. ზარალი რუსთა იმდენად დიდი იყო, რომ თითო პოლკში 600—800 კაცის მეტი აღარ დარჩა. შახეს სიმაგრეთა შესანარჩუნებლად გენ. კუროპატკინმა თითქმის მთლად თავისი ზურგის ჯარი ჩაჰრია ბრძოლაში, ასე რომ, ახლა არც ერთი ომ-გამოუვლელი, დასვენებული დივიზია არა ჰყავს. (რ. ვ.)

—

**რად ვმარცხდებოდით აქამდე?** თუ აქამდე ასე ვმარცხდებოდითო,—ამბობს «რუს. ვედ.»-ის სამხედრო მიმომხილველი, მიზეზი ისიყო, რომ ნაკლებად გვქონდა ციხის სანგრევი მძიმე ზარბაზნები და ტყვის მფრქვეველი. ახლა გადასწყდა, ბლომად გაეგზავნოს რუსეთიდან გენ. კუროპატკინს მძიმე ზარბეზნები და ისიც, ვიდრე ეს ზარბაზნები არ მიუვა, ვერ გაჰბედავს ოიამას შეუტიოს. 8 თვის განმავლობაში მოპოვებულმა მწარე გამოცდილებამ თვალნათლად დაამტკიცა, რომ უმორტირებოთა და უგაუბიცებოთ ომში ჯარი ვერას გახდება და მარტო შრაპნელი ვერ უშველის, მეტადრე თუ კედელია დასარღვევი, ან მიწის განიერი თხრილი და სანგარია ასაღები. ტიურენჩენში ორი თვე მოვუნდით ამისთანა სანგრეების აგებას და ეს სანგრები იაპონელების 12 გაუბიცმა რამდენსამე საათში დაანგრია.

ტყვიის მფრქვეველთა სიმცირეც იყო მიზეზი ჩვენის ხშირის დამარცხებისა. ტყვიის მფრქვეველნი, როგორც იწერებიან კორესპონდენტები ბრძოლის ველიდან, ყოვლად ძლიერი იარაღია და ახლო მანძილზედ საშინელს ზარალს აყენებს მტერს. იაპონელებს მრავლად აქვთ ტყვიის მფრქვეველნი და ამ იარაღით არა ერთხელ უკუ-უქცევიათ ჩვენი იერიშები. იაპონელებს, სულ ცოტა, 70—80 ტყვიის მფრქვეველი აქვთ; ჩვენ კი, რაც გვქონდა, სულ ტიურენჩენში დაგვეღუპა. ახლა გვაქვს მხოლოდ 24 ახალი ტყვიის მფრქვეველი. (რ. ვ.).

—

**რამდენი ჯარი ჰყავს ოიამას?** ახლა გამოირკვა, რომ ოიამას ჰყავს არა ნაკლებ 300,000 ჯარის კაცისა (305—308 ათასი). რუსებს ამაზედ ცოტა ნაკლები ჯარი ჰყავთ, მაგრამ არც იმდენად ნაკლები, რომ ოიამამ გაჰბედოს და შეუტიოს კუროპატკინს იმ დრომდე, ვიდრე ტერიტორიალური ჯარი არ მიუვა იაპონიიდან. ხოლო ამ ჯარის გზავნა უკვე დაიწყო ამ სამის კვირის წინად. (რ. ვ.).

## ახალი ამბავი

—

**სათავად-აზნაურო სკოლის შენობის დათვალიერება.** ამას წინად ბ-ნმა იაკობ კონსტანტინეს-ძემ ზუბალაშვილმა თავისის დედიდაშვილით თ-დ პ. თუმანიშვილით დაათვალიერა შენობა სათავად-აზნაურო სკოლისა ვერაზედ. სასიამოვნო, მოამაგე სტუმარი მიიღეს სკოლის კომიტეტის წევრმა და შენობის საქმის მთავარმა გამგემ ბ-ნმა ნ. ზ. ცხვედაძემ და ხუროთ-მოძღვარმა ბ-ნმა ს. გ. კლდიაშვილმა, დაატარეს მთლად შენობა და აუხსნეს ყოველივე გარემოება მისი. სტუმარნი კმაყოფილნი დარჩნენ ნახულითა და გაგონილით. ბ-ნმა ი. კ. ზუბალაშვილმა 100 მ. დაურიგა საჩუქრად მუშებსა და ხელოსნებს, რომელნიც შენობაზედ მუშაობდნენ.

*** **სასულიერო სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარის დათხოვნა.** კავკასიის სასულიერო-სამოსწავლო ოლქის განკარგულებით, ბლაღოჩინი მღვდელი დ. მეტრეველი დათხოვნილ იქმნა დუშეთის სამასწავლებლო საბჭოს განყოფილების თავმჯდომარეობის თანამდებობიდგან.

*** **სოკოთი მოწამლულნი.** ამ რამდენისამე დღის წინად ს. საშაბუროს ერთს ოჯახში სამი სული გარდაიცვალა ერთ დღეს სოკოსაგან მოწამვლით.

*** **სიგელ-გუჯრების დაბეჭდვა.** როგორც ვიცით, ქართლ-კახეთის სასულიერო წოდების საეკკლესიო სიძველეთ-საცავში მრავალი სიგელი და გუჯარია დაცული, რომელსაც საქართველოს ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც გავიგეთ, ხსენებულ სიძველეთ-საცავის კომიტეტს, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის ექვთიმეს თავმჯდომარეობით, დაუდგენია—ეს სიგელ-გუჯრები, რომელთა რიცხვი ათასამდის მიაღწევს, ცალკე წიგნად დაბეჭდოს სიძველეთ-საცავის სახსრით. არ შეგვიძლია დიდის სიამოვნებით არ აღვნიშნოთ კომიტეტის ასეთი გონივრული დადგენილება, რომლის განხორციელებაც დიდს სამსახურს გაუწევს ჩვენის ისტორიის მკვლევართ.

*** **ხოლერა.** 18 ოკდომბერს ბაქოსა და ბალახანაში ხოლერით ავად გამხდარა 2, მომკვდარა 1 კაცი. 19 ოკდომბერს ავად გახდა ერთი, ხოლო არავინ მომკვდარა. ერევნის გუბერნიაში ხოლერა მატულობს. 18 ოკდომბერს საღამომდე სოფელ ყიზილ-ვანქში ავად გამხდარა 23 კაცი; აქედან თორმეტი კაცი მომკვდარა და ერთი სრულიად მორჩენილა. ბაშნორაშენში სამი მუშა გამხდარა ავად. ჯულფში ერთი მომკვდარა. სოფელ კუშიდემურში ერთი კაცი გამხდარა ავად. ბაშნორაშენსა და ჯულფში უკვე მოუწყვიათ ცალკე სადგომები ხოლერიანთათვის. ამას გარდა, რათა ხოლერა არ გავრცელდეს, ულუხანლუს სადგურზედ განსაკუთრებული ზედამხედაობაა დაწესებული. აქ, ტფილისშიაც, დააწესეს ზედამხედველობა: სინჯავენ ერევანსა და ულუხანლუდან მოსულ მუშებს.

*** **რკინის გზის უფროსის ჩამოსვლა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსს ინჟენერს ი. კ. ივანოვსკის ტფილისში მოელიან ორშაბათს, 25 ოკდომბერს.

*** **პირუტყვთა მფარველ საზოგადოების** თავმჯდომარედ, განსვენებულ რეიტერის მაგიერ, არჩეულ იქმნა გენერალ-მაიორი პ. ფ. ფონ-პარკაუ.

*** **გადასახადთა პატიება.** როგორც იციან მკითხველებმა, უმაღლესის მანიფესტით, ტფილისის მოქალაქეთ ეპატიათ ძველ გადასახადების ნედოიმკები, რომელიც ირიცხებოდა ამ 1904 წლის 1-ლ იანვრამდე და რომელიც არ შეტანილა ამავე წლის 30 ივლისამდე. სულ მოქალაქეთ ეპატიათ 30,000 მანეთამდე. რწმუნებულთა კრებამ 20 ოკდომბერს დაადგინა, ის ფული, რომელიც მოქალაქეთა გამგეობას უკვე აუღია, მაგრამ ხაზინაში

კი არ შეუტანია, ჩაირიცხოს მომავალ 1905 წლის გადასახადებში.

*** ქურდობა დღისით.** გუშინ-წინ, 21 ოკდომბერს, ნაძალადევში, ეკლესიის გვერდით, ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზე, ქურდებმა გასტეხეს გოგოლაშვილის სახლში მცხოვრებ სოლომონ და ნიკ. ქორიძეთა სადგომი ő წაიღეს ტანისამოსი, კალოშები, ფეხსაცმელები და სხვ., სულ 30 მანეთისა. ქურდების კვალისათვის ჯერ ვერ მიუგნიათ.

*** განახლებული «ჯეჯილი».** რედაქციას მოუვიდა განახლებულ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ ოკდომბრის ნომერი. ჟურნალი მოზრდილია და ფერადის სურათებითაა გამოცემული. ვუსურვებთ განახლებულ ჟურნალს სრულს წარმატებას: აი შინაარსი ახალის «ჯეჯილისა»: 1) ფერადი სურათი ლექსით. 2) ლაზარეს ჩივილი, ლექსი შ. მღვიმელისა. 3) გომფაშო, ამბავი (ფრანგულიდან)—ტასოსი. 4) თამარ მეფე და გლახა—გ. წყალტუბელისა. 5) პატარა სურათი—ილიკოსი. 6) კამბეჩები და ვეფხი (რუსულიდან)—ტასოსი. 7) ნასწავლი კაკაბი (ფრანგულიდან)—ალ. სარაჯიშვილისა. 8) ნაფოტა თევზის თავ-გადასავალი, გადმოღებული—ბ. მიქაბერიძისა. 9) † სტეფანე ზუბალაშვილი (ნეკროლოგი) კლდიასი. 10) გულადი—მოთხრობა უიდისა (თარგმანი)—ს. ციციშვილისა 11). ფიზიკური გეოგრაფია, პროფესორის გეიკისა—სან ინისა 12) ცეფალი და პროკრიდა (ოვიდიუსი)—ალ. ყუმისთაველისა. 13) წვრილმანი: ანდაზები, გამოცანა, ზმა, შარადა, სიტყვების ამოცანა, სათამაშო გასართობი და რებუსი.

## ტფილისი

**რკინის გზის სადგური.** 17 ოკდომბერს, დილის რვა საათის მატარებლით, ვაპირებდი წასვლას ფოთისკენ. ჯერ ნავთლუხით ბაქოდან მომავალი მატარებელი არ იყო გამოსული, რომ სადგურზე ვიყავი; გამოვიდა ნითლუხიდან მატარებელი და მივედით ბილეთის ასაღებათ კასსაში. კასირმა საკმაოდ დაიგვიანა, ხალხი კი მრავალი უცდიდა ბილეთების აღებას. ზოგმა მგზავრმა ბარგიც დააბინავა ვაგონში თავიანთ წვრილ შვილით, რადგანაც პირველი ზარი უკვე დარეკილი იყო; მიიღო მოწყალეობა კასირმა, გააღო კასის ფანჯარა, ხუთი წუთიც იფუსფუსა რაღაც დამლების მომართვაზედ და დავთრების დალაგებეზედ. დაიწყო ბილეთის მიცემა, მაგრამ, საუბედუროდ, ორმოც და ათ კაცამდის დავრჩით ბილეთ-აუღებელი. ვინც ვერ მოვასწარით, ჩავსხედით უბილეთოდ იმ განზრახვით, რომ მეორე სადგურზედ ავიღებდით ბილეთს; დაიწყო უფროსმა კონდუქტორმა ბილეთების შინჯვა და ზედ მოჰყვა კონტროლიორი ბ-ნი თუმანოვი. შევატყობინეთ ჩვენი გარემოება, რომ ბილეთების აუღებლობის მიზეზი კასირი იყო; იმან თითქმის იწყინა ჩვენი ლაპარაკი და მცხეთამდინ ერთი ორათ გადაგვახდევინეს. ფული კასაში შევიტანეთ მცხეთაში და კვიტანციაც არ მოგვცეს. ეს ფული რკინის გზის მმართველობის კასაში დარჩა, თუ კერძო კაცთა ჯიბეში, ეს ღმერთმა უწყის. ეს ხომ არ გვაკმარა ბ-მა თუმანოვმა: მოიწვია ახლო საყელოში ხელის მოსაკიდათ და ვაგონიდამ გადასაყვანათ, ავჭალაში დაგანარჩუნებთ, აქ ბერდიჩევი არ არის, რომ ბევრს ლაპარაკობთ.

რა შუაში იყო აქ ბერდიჩევი? ბერდიჩევში მე ახჯელ ვყოფილვარ და თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ ასეთს უწესოებას, როგორიც იკისრა ბ-მა თუმანოვმა, იქ არავინ იკისრებდა.

მგზავრად მივდივარ და უდანაშაულო 65 წლის კაცი მატარებლიდგან უნდა გადამიყვანოს! გაგონილა ასეთი სითამამე მოხელისა? თავიანთ დანაშაულს ჩვენ გვახდევინებენ!.. განა მადლი იყო, რომ მგზავრებს წვრილშვილი ვაგონებში დაბინავებული ჰყავდათ და თითონ ქალაქში დარჩნენ, ხოლო მატარებელმა უპატრონოთ გააქანა ბავშვები, როგორც ძერამ წიწილა? მადლი იყო, რომ ერთი ორათ ფული გადაახდევინა, მერე იმისთანებს, რომელთაც კაპეიკი არ მოეძევებოდათ? კიდევ კარგი, რომ ბ-ნ თუმანოვს სხვა, დიდი ალაგი არა უქირავსრა, თორემ მთლათ სახალინში გადაგვასახლებდა.

**დიდუბე.** გაჰკირვებით რომ საწყალმა კაცმა ორი შაური მოჰპაროს ვისმე, მაშინვე პოლიცია დაიჭერს, გამომძიებელს გადასცემს და ხან ისე სასტიკათ ისჯება დამნაშავე, რომ წლობით ციხეში ზის ამ მცირედის დანაშაულობისათვის. ხოლო ზოგი რომ გაუკირვებელი და შეძლებული აშკარად ხალხს სცარცვავს, ცარცვის გარდა, სწამლავს და ამ წუთისოფელს ადრევე უმოკლებს, ამას კი არავინ უყურებს და არც ყურადღებას აქცევს.

ყველამ კარგად იცის, რომ ბრალიანმა და უბრალომ ღვინის სარდაფები დახსნა. ვინც არა მგონია, შეაგროვებს თხუთმეტ თუმანს სავაჭრო ბილეთის შესაძენად, გააღებს დუქანს, იყიდის ხუთ კოკა ღვინოს, იშოვნის ორას ბოთლს, ჩაასხამს, მიაკრავს იარლიკს ვარაყიანს და მიაწერს მიმსგავსებით სხვა ფირმის ღვინის გამყიდავის სახელს და დაიწყებს ვაჭრობას. ყველა ხომ მცოდნე არ არის? ჰყიდულობს ხამი კაცი ან მგზავრი ერთ ბოთლ ღვინოს, ჰნახავს, რომ წყალია შერეული შაქარ-წყლით და მიცემული აქვს სიმყავე სხვა-და-სხვა ნივთიერებისა. რა უნდა ჰქნას ერთის ბოთლის ღვინის მყიდავმა? შეუკურთხებს ღვინის გამყიდველს თავის გულში და გათავდება. თუ დალია, წელებს დასჭრის, და ამნაირად რამოდენა ღვინო იყიდება ქალაქში? არავინ არის, რომ ეს ბოროტება გამოააშკარავოს. ხომ ყველასათვის ცნობილია კახეთის საზოგადოების ფირმა. ამ ფირმის მიმსგავსებით სამი-ოთხის წლის წინად ღვინის ვაჭარმა, რომელიც ვაჭრობს მიხეილის ქუჩაზედ, თუშურიანცმა დაიწყო ვაჭრობა და სასამართლომ საკმაოდ დასაჯა. გაიარა დრომ და მერმე სხვაფრივ მიამსგავსა იარლიკი; ახლა გამოჩნდა ახალი სოვდაგარი დიდუბეში და მიაკრა იარლიკი **Кахетія**, ტ-ს მაგიერ ოვა და ღ-საც თავზედ ხაზი გაუსვა „**Кахетія**“, და გამოვიდა ისევ კახეთია და შიგ ბოთლში, რა არის, კაცი ვერ გაიგებს. სწამლავს ხალხსა და პატრონი არავინ არის. საჭიროა ჯერ «საზოგადოებამ» თავის ინტერესის დასაცველად მიჰმართოს სამართალსა ő მერე ქალაქის თვით მართველობა მოვჯლეა, საჩქაროთ მიაქციოს ყურადღება ამას. თუ ხორც და პურს უნდა უყურონ, ნუ თუ ღვინოც ისეთი სანოვაგე და საჭირო მოთხოვნილება არ არის, როგორც პური? ნათქვამის დასამტკიცებლათ, რედაქციას ვურდგენ ამ ახალის ფირმის ერთ ბოთლ ღვინოს.

ა. თუთაევი.

## საქართველო

**ბათუმი.** თავხედური თავდასხმა. ხაჩატურიანცის, როტშილდის, მანთაშევის და რკინის გზის კასსირთა თავდასხმის ამბავი უკვე მოეხსენება მკითხველს, ხოლო ბათუმის სავაჭრო თავდასხმის ამბავს, რამაც კინაღამ იმსხვერპლა სიცოცხლე ბ-ნ კარლოს ჩხეიძისა, ხსენებულ საავადმყოფოს ზედამხედველისა, ახლა მოგახსენებთ: ამ თვის 18, საღამოს 8 საათი იქნებოდა, შვიდი ჩაქვურ ტანთსაცმელში გამოწყობილი და პირახვეული შეიარაღებული კაცი შეიჭრა საავადმყოფოს კანტორაში, სადაც დახვდნენ საავადმყოფოს ზედამხედველი კარლოს ჩხეიძე და ორიც მისი თანამოსამსახურე მწერალი. ყაჩაღები შესვლისათანავე ეცნენ და ჩამოჰგლიჯეს ტელეფონის მილი და მავთულები. შემდეგ რამდენმამე მათგანმა რევოლვერები და დაუმიზნა იქ მყოფთ, რათა ადგილიდან არ დაძრულიყვნენ; ჩხეიძეს კი მოსთხოვეს ფული და თან ემუქრებოდნენ. წამი იყო კრიტიკული. მოვალეობის გრძნობა და სიცოცხლის შერჩენა შეხვდა პირისპირ ერთმანეთს. უკანასკნელმა სძლია. შეშინებული და დაბნეული კ. ჩხეიძე ეძებს კასის გასაღებს, მაგრამ იგი გაუვარდება, რასაც ვერც ერთი იქ მდგომი ვერ ამჩნევს. ჩხეიძე რომ ვერ პოულობს გასაღებს, ყაჩაღები ჩქარობენ და მაცრობენ. მაშინ სხეიძე უჩვენებს კასსას, სადაც ფული ინახებოდა. რამდენიმე მძარცველთაგანნი შეუდგნენ კასის გატეხას, მაგრამ უძნელდებათ და ეს საკვირველია მით უმეტეს, რომ კასსას შეადგენდა პაწაწინა ხის უჯრა, სტოლის ქვეშიდან მიკრული. რამდენიმე კი მივარდება თვით ჩხეიძეს და ართმევს ჯიბიდან ას მანეთამდე (100) ფულს და საათს.

(იმ დროს, როცა საავადმყოფოს კანტორაში ეს ამბავია, თვით საავადმყოფოში მცხოვრებთ: ფერშლებს, ფერშალ და ბებია-ქალებს და ავადმყოფებს ელვის უსწრაფეს მოედებათ ყაჩაღთა თავდასხმის ამბავი. შეიქნება ერთი წივილ-კივილი და ვაი-უშველებელი მათ შორის. ზოგს გული მისდის, ზოგს ისტერიკა ემართება, ზოგი გაჰკივის, ზოგი ქმარს ტირის, ზოგი თავს. ამ დროს ქუჩაში რაღაც ბედად გაივლის რამდენიმე მგზავრი, რომელთა ლაპარაკიც შეესმის გარეთ მოდარაჯე ყაჩაღს. ეს უკანასკნელი შესძახებს ამხანაგებს: „მოდიან, მოდიან“!-ო, და ისინიც კბილთა ღრჭენით და მუქარით გარბიან. უბრალო შემთხვევამ, ქუჩაში რამდენისამე კაცის ხმაურობამ, რაც ყაჩაღების დარაჯს მოეჩვენა პოლიციელების მოხელეებათ, გადაარჩინა საავადმყოფოს კასსა—(რომელშიაც ყოფილა 3000 მანეთამდე) და, ვინ იცის, ადამიანის სიცოცხლეც გაქრობას. ავაზაკები მიიმალნენ და მათი კვალი გაჰქრა. ასეთი ამბები ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა ჩვენს კურთხეულს ქვეყანაში. თავგანწირულება და გამბედაობა, რომელსაც იჩენ ენ ეს «ადამიანები», ჩვენ მიერ «ავაზაკებად» წოდებულნი, ჩამაფიქრებელია და უარესის მომასწავებელი, რაზედაც მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას.

ონ—ძიძე.

**სოფ. აჟარა** (აფხაზეთი). **ქარხანა და მისი მნიშვნელობა.** ჩვენს მიყრუებულ ჩხალთაში მაქსიმოვის კანტორის დარაჯად ნამყოფმა ჩაგუმ თავი მოიკლა. ამბობენ, ვალი ჰქონდა და რაკი მაქსიმოვის ქარხანა გაუქმდა და ის სამსახურიდან მოულოდნელად დაითხოვეს, ვეღარ აიტანა, გამოეთხოვა ამ წუთი-სოფელსაო.

ვლ. მაქსიმოვის მემკვიდრეთა აქაურ კანტორის განყოფილების გაუქმებამ თითქმის ბათვეშივე და სულაც ჩხალთის მხარეში მუშაობის დროებით შეწყვეტამ თავზარი დასცა არა მარტო სალოდავ ჩაგუს, არამედ ყველას, ვისაც კი, ასე თუ ისე, რაიმე კავშირი ჰქონდა ამ ხე-ტყის მრეწველობის დაწესებულებასთან. აქაურ კანტორის ყველა მსახურნი (50-მდე) და მუშები 2000-მდე იმერლები, მეგრელები, სვანები, აფხაზები და სხვანი, დათხოვნილ იქმნენ. მხოლოდ მსახურთ კანტორამ მისცა ორი-სამის თვის ჯამაგირი წინდაწინ. პირველად ამ სავაჭრო-სამრეწველო საქმის აქეთ მხარეს დაარსების მეთაურობა და პიონერობა ეკუთვნის შავის ზღვის პირად ცნობილ კომერსანტს ე. მ. ქოლკვერს, რომელსაც ბედმა უმუხთლა და ბოლო ვერ მიატანა. მაგრამ ახლა ისევ ცდილობს და თავის მედგარ ენერგიით ლამის თავისი საქმე ისევ ფეხზედ დააყენოს...

რუსეთში ცნობილმა მაქსიმოვმა ვლ. რ. (უკვე გარდაიცვალა) თავის ხე-ტყის მრეწველობის კავკასიის განყოფილება ქ. სოხუმში დაიწყო 1896 წლის დამდეგს. მუშაობის უმთავრეს ასპარეზად იყო ჩხალთა. დაიწყეს აქ სახელმწიფო ტყის ჭრა, განსაკუთრებით სჭრიან ნაძვს (**ПИХТА**) და ცოტათი წაბლის ხეებსა. აგრეთვე აქა-იქ გაერევა ათასში ერთი-ორი ხე ფიჭვისა (**СОСНА**). მაქსიმოვმა, სახელმწიფო უწყებასთან შეკრულ პირობის ძალით, ყოველ წელიწადს (დაწყებიდან 14 წლ. განმავლობაში) უნდა მოსჭრას და ჩამოიტანოს ხეები ქარხნებთან სოფ. აღზიუბჟაში (კოდ. ნაწილი) ოთხმოცი ათასი. ზომით სიგრძე 9 ადლიდან და სისქე წვრილ თავიდან დიამეტრში 8 ვერშოკიდან დაწყებული. მაგრამ სხვა და სხვა მისგან დამოუკიდებელ დაბრკოლებათა გამო, ორთა შუა რიცხვით ყოველ წელიწადს ჩამოჰქონდა ქარხნებში ორმოცი ათასი ხე. წელს სამოც ათასზე მეტი ჩამოიტანეს. ეს ხეები ოცდა ათის ვერსის მანძილზე მდინარე კოდორით ქარხნებამდის ტივებით ჩამოდის. ტივის ჩამოტანაში საჭიროა ორი-სამი კაცი. ტივი შესდგება ათიდან ოცის ხისა და მეტისაგანაც. ქარხნებში ჩამოტანილ თითო ხეს წყალშივე ფასი ჰქონდა დადებული კანტორისაგან ხუთმეტი შაური. მაქსიმოვის ხეტყის სამრეწველო საქმეში სულ წლის განმავლობაში ოთხი-ხუთი ათასი კაცი შოულობს სამუშაოსა. მუშა კაცის დღიური ფასი ორ მანეთამდე ადის.

სოფ. აჟარა სოხუმიდან ჩრდილოეთით ოთხმოც ვერსითაა დაშორებული. აჟარის ზევით ოთხ ვერსზე სოფ. გემჩიში. ორივე სოფ. მდინარე სეკენის პირად არის გაშლილი. მდინარე სეკენი და ჩხალთა აქვე სამხრეთით კოდორს უერთდება. აქაურობა მთიანი ადგილია და სილამაზით სწორედ თვალ-წარმტაცია. ირგვლივ უზარ-მაზარი მედიდური კავკასიონის მთებია. წინად მკვიდრ მცხოვრებლებად იყვნენ აფხაზები, მაგრამ დროთა ბრუნვამ სხვანაირად იმოქმედა ერთს მათთვის შავ-უკუღმა დღეს აფხაზების უმეტესობა განშორდა აქაურობასა. ეხლა ამ ორ სოფელში დასახლებულნი არიან ოც და ათ კომლამდე რუსის გლეხნი. აქედან სამოც და ათის ვერსის მანძილზე გზა-გზა, სამხრეთით ზღვის პირამდე, სახელმწიფო და კერძო მამულებში, სოფლებად არიან დასახლებულნი სხვა და სხვა მუშა ხალხნი: რუსები, მეგრელები, აფხაზები, სომხები, ბერძნები და სხვანი. ამათი უმთავრესი ცხოვრების სალსარი სიმიდნია. ზოგიერთებს კარგადა აქვთ მოწყობილი თუთუნის პლანტაციები.

სოფ. აჟარაში, მაქსიმოვის წყალობით და უხვის შეწირვითა, არის მშვენიერი კოხტა ეკლესია. წირვა-ლოცვა რუსულ ენაზეა. სკოლა და სხვა იმისთანა რამ არ გვაბადია. სოხუმიდან აქეთ სახელმწიფო გზა კლუხორის უღელტეხილს გადადის. ამ გზით მუდამ მრავალი ტურისტები მოგზაურობენ.

## ფელეტონი

### კერძო თაოსნობას სწავლა-აღზრდის გავრცელების საქმეში ფართო ასპარეზი უნდა დაეთმოს.

კავკასიის სამოსწავლო ოლქში წელსაც იგივე სამწუხარო მოვლენა განმეორდა, რაც წინა წლებში. აგვისტოს გასულს თითქმის ყველა სასწავლებლების კარებს მრავალი მოსწავლე მიაწყდა, რომელთაც გამოსაცდელი ეგზამენები მშვენივრად დაიკავეს, მაგრამ უადგილობის გამო იძულებულნი შეიქმნენ სამშობლო კერას დაბრუნებოდნენ. წელსაც იგივე უმანკო ბავშვთა დაუშრეტელი ცრემლის ღვრა, წელსაც იგივე უნუგეშოთ დარჩენილ მშობელთა იერემიასებური გოდება და ღაღადისი, რაიც არა ერთხელ დღემდის განუცდია მოსწავლე ახალთაობის მზრუნველთ და მოჭირნახულეთ.

ჭეშმარიტად, ერთი-ორად გული გიკვდება, როცა ხედავ საწავლებელთ გარეშე დარჩენილ პაწაწკინტელა უმანკოთა შეწუხებულს სულისკვეთებას, ყმაწვილი სინათლისკენ მიისწრაფის, გულწრფელად, მთელის თავის უმანკო არსებით მოწადინებულია სწავლის დაუშრეტელ წყაროს დაეწაფოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უმანკო გულიდან ამონახეთქი კეთილშობილური მისწრაფება მარტოოდენ მისწრაფებად-ღა რჩება. არა ნაკლებ სანუგეშო მშობელთა მდგომარეობაც. მშობლების გულწრფელი მისწრაფებაა—სამშობლოს აღუზარდოს ღირსეული მამულის შვილი, შვილის კარგის აღზრდით სამშობლო ქვეყანას შესძინოს გულწრფელი და ჭეშმარიტი მუშაკი, მაგრამ სასწავლებელთა გამოკეტილი კარები უხმოდ უქარწყლებს ამგვარს კეთილ-შობილურს მისწრაფებას.

სად ან ვის მიეკედლონ ეს სწავლისათვის დამაშვრალნი, აი სამწუხარო საკითხი, რომელიც მუდამ ჟამს გულს გიღრღნის და მოსვენებას არ გაძლევს, როცა სასწავლებელთა გარეშე გარიყულთ მდგომარეობას ითვალისწინებთ.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა წელს ნება დართო ზოგიერთ გიმნაზიის დირექტორებს, მოუმატეთ კიდევ თითო პარალელური განყოფილება მოსამზადებელ კლასებსაო. ფრიად კეთილი ზომაა მზრუნველის ესეთი განკარგულება, ამ ზომის საშუალებით არა ერთისა და ორის სასოწარკვეთილის მშობლის გული დამშვიდდება, არა ერთისა და ორის პაწაწკინტელა მოწაფის გული განუსაზღვრელის სიხარულით აღივსება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასწავლებლების კარებს გარეშე კიდევ დარჩება მოწაფეთა მთელი ლეგიონი, რომელთა მოვლა და პატრონობა აუცილებელს საჭიროებას მოითხოვს, თუ გვინდა მეტი სინათლე მივაშუქოთ ჩვენს ჯერ კიდევ წყვდიადით მოცულს ქვეყანას.

სახელმწიფო, ნივთიერად რაც უნდა ღონიერი იყოს, ყოველთვის უძლურია პირნათლად პასუხი გასცეს სწავლა-აღზრდის მსურველთა მოთხოვნილებას. თანამედროვე ცხოვრება მეტად გამრავალფეროვანდა და გართულდა, სოციალურის ურთიერთობის მოძრავმა ღერძმა სულ სხვა მხრივ დაატრიალა საზოგადოების მოთხოვნილებათა ნიშნობლივი თვისება და ამის მიხედვით განახლებულ პირობათა დასაკმაყოფილებლად სწავლის მსურველთა რაოდენობაც ერთი-ორად გაამრავლა. სახელმწიფო ყოველთვის უძლური იყო და კიდევაც ესეთი დარჩება, თუ საზოგადოებამ თვით არ იდვა თავს მოზარდ თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში ჩარევა და ის მძიმე ტვირთი, რომელსაც ამ ჟამად მთავრობა ეწევა, რამდენიმედ მაინც თვის სავალდებულო ტვირთად არ მიიჩნია, თვითონვე არ გაუძღვა წინ კერძო თაოსნობით ამ საძმო საქმეს.

დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში სახელმწიფოები მილიონობით ხარჯვენ ფულს მოზარდ-თაობის სწავლა აღზრდის საქმეზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთავრობა ღრმად დარწმუნებულია, რომ მარტოოდენ იგი ისეთს სამძიმო საქმის პირნათლად განსახორციელებლად, რომელსაც მოზარდ თაობის სწავლა-განათლების საქმეს ეძახიან, უღონო და უძლურია. კიდევაც ამიტომაა, რომ ამ ქვეყნებში სწავლა-აღზრდის საქმეში კერძო თაოსნობას ფრიად ფართო ასპარეზი აქვს დათმობილი. კერძო კაცნი არა თუ პირველ დაწყებითი სასწავლებლებს და გიმნაზიებს აარსებენ, არამედ უნივერსიტეტებსაც კი.

მაგალითისათვის შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია გავითვალისწინოთ გერმანიის დედა-ქალაქის ბერლინის სახელმწიფო და თვით ქალაქის სკოლათა რაოდენობა და ის ხარჯი, რომელიც ამ სკოლებს ხმარდება, რომ უფრო ნათლად დავინახოთ სწავლა-აღზრდის საქმეში კერძო თაოსნობის მნიშვნელობა.

ბერლინი, რომლის მკვიდრთა რაოდენობაც $1^1/_2$ მილიონს ცოტათი აღემატება, სიგრძე სიგანით სკოლებით მოფენილია.

1903 წლის განმავლობაში მთელს ბერლინში 264 პირველ დაწყებითი საზოგადო (Gemeindeschulen) სკოლა არსებობდა, რომელშიაც 216,040 მოწაფე სწავლობდა, მათ შორის 107,223 ვაჟი და 108,817 ქალი. ეს სკოლები პირველდაწყებითი სავალდებულო სკოლებია, საცა სწავლა სწარმოებს დამთავრებულის ხასიათით რვა წლის განმავლობაში.

ამ სასწავლებელში კურს დამთავრებულთ შეუძლიანთ სწავლა განაგრძონ ეგრედ წოდებულ „Tortbilbungschulen“-ში, საცა სხვა და სხვა სპეციალურ საგნებს და ხელობას ასწავლიან. ამ სკოლების რაოდენობა—96-ია. ამ სკოლებში სწავლა ჯერჯერობით სავალდებულო არაა, მხოლოდ ამ ჟამად პროექტია შედგენილი, რომ სავალდებულოდ გახადონ. ამ პროექტის განხორციელებას ბერლინში მომავალ წლიდან მოელიან; როცა ამ სკოლებში სწავლა სავალდებულოდ გახდება, ყოველს ეჭვს გბრეშეა, რომ ამ სკოლების რაოდენობაც ერთი ორად იმატებს. გარდა ამისა, ბერლინში 26 კლასიკური გიმნაზია, 13 რეალური სასწავლებელი, და 8 საქალებო სასწავლებელი.

გარდა ამისა, ბერლინში არსებობს მრავალი სპეციალურ ხასიათის სკოლა, აგრედვე სკოლები ბრმათა, მუნჯთა, ყრუთა, იდიოტთა, ეპილეპტიკთა და კიდევ მრავალი სხვ. სკოლები. ჩვენ აქ, რასაკვირველია, ბერლინის უმაღლესს სასწავლებლებს არ ვეხებით.

ამა 1903 წლის განმავლობაში ბერლინს სწავლა განათლების საქმეზე დაუხარჯავს 117,747,913 მარკა. *)

ადვილად საფიქრებელია, რომ საცა ამოდენი სხვა და სხვა ტიპის სკოლებია, საცა ამოდენი ფული წლობით იხარჯება სწავლა-განათლების საქმეზე, იქ კერძო თაოსნობის საჭიროებას სწავლა-განათლების საქმეში სრულიად ადგილი არა უნდა ჰქონდეს.

ესეთი მსჯელობა შემცდარი აზრია. ბერლინის მაგალითი სულ სხვა საგულისხმო სურათს წარმოგვიდგენს. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ სახელმწიფო და ქალაქი აუარებელ ფულს ჰხარჯავს, სხვა და სხვა ტიპის სკოლებს თითქმის ყველა ქალაქის უბანში აარსებს, კერძო თაოსნობას სწავლა აღზრდის საქმეში ფართო ასპარეზი აქვს დათმობილი. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ბერლინში, გარდა მრავალ კერძო დაწყებითი სასწავლებლებისა, პანსიონებისა, 52 კერძო სასწავლებელია, რომელთა სამოსწავლო პროგრამები საშუალო სახელმწიფო სასწავლებლების პროგრამებთანაა შეფარდებული. ამ 52 სასწავლებელთა შორის 7 სავაჟო სასწავლებელია, 40 ქალთა სასწავლებელი, 3 ქალ-ვაჟთა სკოლა და 2-იც სემინარია,

*) მარკა 46 კაპ. უდრის.

მაქსიმოვს თავის კანტორასთან ერთად ჩხალთაში (აჭარიდან ხუთი ვერსია სამხრეთით) ჰქონდა გამართული პატარა საავადმყოფო-აფთიაქი. ეს საავადმყოფო-აფთიაქი დაუფასებელ შემწეობას აძლევდა ავადმყოფთ, როგორც კანტორის მუშებსა, აგრეთვე აქურ ახლო-მახლო სოფლელ მცხოვრებლებსაც. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, როცა კანტორა აქედან აიბარგა, საავადმყოფო-აფთიაქის არსებობაც მოისპო. ამასთან ერთად არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ამ საავადმყოფო-აფთიაქის გამგებელ ბ-ნ ფერშალ იაშვილის ღვაწლი. რა დროსა და ჟამს უნდა მისულიყავით მასთან, მუდამ მაზე იყო დაკმაყოფილებინა დიდის ყურადღებით პაციენტი. აგრეთვე სიამოვნებით აღვნიშნავთ მაქსიმოვის კანტორის განყოფილების მმართველ ბ-ნ ზაქარია სიმონის ძის თურქიას მოქმედებას. თავის მიუკერძებელ-მიუდგომელ მტკიცე ხასიათით ცოტა სიკეთე არ გაუწია მუშა ხალხს.

როგორც ზემოდა ვსთქვით, აქაურ მუშა გლეხ-კაცის ცხოვრების სახსარი სიმინდია. ვაი ვაგლახით დამუშავებული მიწა წლიურ საყოფ საზრდოს ძლივს იძლევა. წელს კი საეჭვოა, რომ საყოფი ჰირნახული მოგვივიდეს. ფუთი სიმინდი ჯერ-ჯერობით მანეთად და ექვს შაურად ჰღირს. ფქვილი სიმინდისა შვიდი აბაზია ფუთი.

ა. ტ.

---

# უცხოეთი

## გერმანია.

შვიდი დევნილი.—ნაციონალ-ლიბერალები მწერლობა.—დედაკაცთა უფლებანი.

ქალაქს გეტინგენს განუზრახავს ძეგლი აუგოს თავის «შვიდ დევნილს», რომელნიც პროფესორობდნენ ამ ქალაქში, ღრმა მეცნიერნი იყვნენ, მაგრამ თან არ დაივიწყეს თვისნი მოვალეობანიცა მოქალაქისა. იმ შვიდ პროფესორთა შორის იყვნენ: გერვინუსი, ძმანი გრიმები და მათნი ამხანაგნი. თითოეულმა მათგანმა გაამდიდრა მეცნიერება თვისის გამოკვლევით და თან მომავალ თაობას დაუტოვეს მაგალითი იმისი, თუ რაოდენ თავ-გამოდებითა და ვაჟკაცობით უნდა შეებრძოლოს კაცი საზოგადო ცხოვრების უწესოებასა და ბოროტებას.

ვაჭარსა და მუშას, როცა გაუვლის გვერდზედ შვიდის დევნილის ძეგლს, კარგად არ ეცოდინება, რაოდენად წასწია წინ ფიზიკა ვებერმა და ისტორიოგრაფია გერვინიუსმა, მაგრამ, სამაგიეროდ, გაიგონებენ ვისგანმე, რომ ეგ შვიდნი იყვნენ ღირსეულნი მოქალაქენი და იმ დროს, როცა ავნი ჟამნი მეფობდნენ, თვითნებობა იყო გაბატონებული, ისინი იცავდნენ ადამიანთა ღირსებას და საზოგადოების უფლებას.

ბადენის 60 წლის მხცოვანმა მთავარმა, დიდმა ჰერცოგმა ფრიდრიხმა, პირველად დილმანისაგან მოისმინა უნივერსიტეტში ის გონივრული აზრები, თუ რა მნიშვნელობა აქვს ერის თვით-მოქმედებას, ხოლო ეს დალმანი იმ შვიდთა დევნილთაგანი იყო და სახელმწიფო უფლების ლექციებს უკითხავდა, სხვათა შორის, ახალგაზდა ფრიდრიხსაც. გვირგვინოსანმა თვითონაც ირწმუნა და ზედა პალატაც დაარწმუნა, რომ მონარქიასა და სახელმწიფო წეს-წყობილებას თვით თავისუფალ მოქალაქეებზედ უკეთესნი დამცველნი არა ჰყავს, იმ მოქალაქეებზედ უკეთესნი, რომელნიც ჰგრძნობენ, რომ სახელმწიფო თვით ჩვენა ვართ, ჩვენა და შვილნი ჩვენნი და რომ შინაარსი სახელმწიფო იდეისა სრულიად იგივე არ არის, რაც თვითნებობა და ბიუროკრატიული ყოვლადშემძლებელობა.

ნაციონალ-ლიბერალები—ახალნი და ძველნი ერთმანეთში კავშირს არა სწყვეტენ, ძველებივით პატივსა სცემენ ტრადიციებს და სცდილობენო თავიანთი წვლილი შეიტანონ იმ საზოგადო მოღვაწეობის სალაროში, რომელსაც ყველანი სწევენ ქვეყნის სასიკეთოდ. ამას წინად ახალგაზდა ნაციონალ-ლიბერალებს უსაყვედურეს, გახუნდით თქვენცა და თქვენი პოლიტიკური პროგრამაცაო. პოლიტიკური იდეალები ან უკვე განხორციელდა და ამიტომ დაჰკარგა ხალისი ახალგაზდობისათვის, ან მხოლოდ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა-ღა აქვთო. ამის პასუხად ახალგაზდა ნაციონალ-ლიბერალები ამბობენ: რაც ჩვენმა მამებმა შეიძინეს პოლიტიკაში ჩვენთვის, არც ისე მტკიცედ არის ფესვ-გადგმული ცხოვრებაში, რომ ვითომ არას დროს იძულებულნი აღარ ვიყვნეთ მის დასაცველად თავი გამოვიდოთ. განა თვით გიოტე არ გვიქადაგებდა: რაც დაიმკვიდრეთ მამა-პაპათაგან, კვლავ შეიძინეთ, თუ გინდათ ხელში გეჭიროთ და ჰფლობდეთ ისევაო? განა მართლა პოლიტიკაში ყოველივე ისე კეთილად მოწყობილია და იდეალური, რომ ბრძოლა საჭირო არ იყოსო?

ძველებურ პრუსიის თვალით რომ შეხედოთ, დიალაც რომ ჟურნალ-გაზეთობის მდგომარეობა ახლა იდეალურია: აღარც ცენზურა სადმე, აღარც კონფისკაციები, აღარც გირაოს წარდგენა. არავინ იძულებული აღარ არის ნება-რთვა ითხოვოს მთავრობისაგან გაზეთის გამოცემისათვის. ყოველგვარი საზოგადოებრივი იარა და მუწუკი, ყოველ-გვარი უსამართლობა, თუნდა მინისტრებიც იყვნენ მიზეზნი, შეიძლება გამოაშკარავებულ იქმნას პრესის შემწეობით. დიალაც, რომ ასეა და ასეც უნდა იყოს, მაგრამ კონსერვატორებს მაინც ჰგონია, რომ თავისუფლება ჟურნალ-გაზეთობისა საჩუქარია, წყალობაა, საზოგადოებისა და ჟურნალისტებისათვის ბოძებული. ნამდვილად კი მთავრობას, რომელიც სცდილობს დაიცვას ღირსება სახელმწიფოსი და თავიდან მოიშოროს ტუტუცნი და ონავარნი მტარვალნი, მხოლოდ თავისუფალი პრესა და პარლამენტი მიაჩნია თავის მოკავშირედ, თავის დამხმარებლად. ამიტომ დიალაც საჭიროა, რომ მწერლობის თავისუფლებას ისე-კი არ უცქეროდეს ვინმე, როგორც მოსათმენს, ვაი-ვაგლახით შესაწყნარებელს, არამედ როგორც ყოვლად საჭირო და სასარგებლო ძალას, ისეთს ძალას, ურომლისოდაც არც წესი შეიძლება დამყარდეს, არც საზოგადების აზრი განმტკიცდეს.

გერმანიაში დიდი ქადაგებაა, რომ დედაკაცს საარჩევნო უფლებანი მიენიჭოს. არც ერთი პროგრესიული მოძრაობა იოლად ვერ მიდის ახლა, თუ დედაკაცმა მონაწილეობა არ მიიღო. პასტორების კრებამაც კი გადასწყვიტა ბერლინში, დედაკაცთ ნება მიეცეთ სამრევლო-საეკკლესიო არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.

საზოგადოდ გერმანიაში კარგად გაეთქვიფა ყველას გონებაში მნიშვნელობა თვითმოქმედებისა, ადამიანის ღირსებისა და თავისუფლებისა ქვეყნის განვითარების საქმეში. უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ დამოუკიდებელი ადამიანი და თავისუფალი საზოგადოება საუკეთესო ბურჯდავანობაა სამშობლოს კეთილ-დღეობისა და დიდებისა და არა პოლიციური სახელმწიფო.

---

# თეატრი და ხელოვნება

მეორე წარმოდგენა სახაზინო თეატრში. ოთხშაბათს, 20 ოკდომბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა გამართა მეორე წარმოდგენა სახაზინო თეატრში. წარმოადგინეს «ექიმი შტოკმანი», ჰენ. იბსენისა. მთავარს როლს—ექიმის შტოკმანისას—თამაშობდა ბ-ნი კ. მესხი და ძალიან უფერულადაც თამაშობდა. ბ-ნ კ. მესხს, ჩვენის ფიქრით, არ შესწევს ძალ-ღონე ამ როლის შესრულებისათვის. არც დანარჩენ როლების ამსრულებელნი იყვნენ შესაფერნი. ამიტომ წარმოდგენა უფერული გამოდგა და საზოგადოება უკმაყოფილო დარჩა. ხალხი ცოტა დაესწრო.

---

### უკანასკნელ ქართულ წარმოდგენის გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ოთხშაბათს, 20 ოკდომბერს, დავესწარი სახაზინო თეატრში ქართულ წარმოდგენას, მაგრამ ვაი იმ დასწრებას! ნეტავი, ბ-ნ განის სიტყვისა არ იყოს, ფეხები მომტეხოდა და არ დავსწრებოდი. თქვენმა გაზეთმაც ხომ საქმე გააჭირა: გულგრილად ნუ ვექცევით ქართველ მსახიობთა და ქართულ თეატრსაო; დავესწროთ ქართულ წარმოდგენასაო და სხვა, და სხვა. აი, ბატონებო, დავესწარი, მაგრამ თავ-ბედს ვიწყევლი. სხვა არა იყოსრა, რუსულ დრამის მსახიობნი მაინც არ დასწრებოდნენ ოთხშაბათის „შტოკმანს“ და მით სირცხვილი მაინც არ ეჭამა ქართულ ხელოვნებას უცხოთა თვალში. ნუ თუ ბ-ნმა კოტე მესხმა შარშანდელს აქეთ ვერ შეიგნო, რომ «ექიმ შტოკმანის» როლი მისს ძალ-ღონეს აღემატება, მაყურებელსაც სტანჯავს და თავის თავსაც იჯახირებს? სხვისა რა მოგახსენოთ და, მე რომ მესხის ადგილასა ვყოფილიყავ, თეატრი სულ მთლად რომ დაენგრიათ კიდეც, არ გამოვიდოდი თავის დასაკრავად... სხვებიც ბ-ნ მესხს ხელს უწყობდნენ პიესის საერთო... გაფუჭებაში, მაგრამ ეგეც კია, თუ «შტოკმანის» როლის ამსრულებელი სუსტია, მთელი პიესაც ფერს ჰკარგავს.

მე ნერვები აშლილი არა მაქვს, მაგრამ არც რკინის ნერვების პატრონი ვარ! დიაღ, ჩემმა ნერვებმა ვერ შესძლო მესხისაგან დამახინჯებულ შტოკმანის ყურება და, მეოთხე მოქმედება რომ დაიწყო, შინისაკენ მოვცოცხე.

ტყუილად კი არ არის ნათქვამი—ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო. გვისაყვედურებენ—თეატრში არ დადიხართო და თვითონ კი თავიანთის უხეირობით თეატრს გვაძულებენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ—გადასაყრელი ფული ვისა აქვს, მეტადრე ამ გაჭირვების დროს!

ამასთანავე უნდა დავსძინო, რომ პირადად ბ-ნ კოტე მესხს, როგორც სრულიად კერძო კაცს, არა შტოკმანის როლში, რასაკვირველია, დიდ პატივსა ვსცემ და ნურას უკაცრავად, თუ ეს მწარე, მაგრამ სიმართლით აღსავსე,—შენიშვნა გულს მოხვდება და ეწყინება მასაც და სხვებსაც.

ქუჩუა.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

## დილის დეპეშები.

20 ოკდომბერი.

**ლონდონი** (რეიტერი). «დეილი ნიუს»-ში დაბეჭდილია საუბარი ამ გაზეთის კორესპონდენტისა ლონდონში მყოფ წარჩინებულ რუსის მოხელესთან. ამ მოხელის სიტყვით, როგორიც უნდა იყოს იმ ბრძანების მნიშვნელობა, რომელიც ინგლისის ესკადრას მისცეს და დეპეშით გვაცნობეს გიბრალტარიდან, მაინც არავითარი ცნობები არა გვაქვს საქმის გამწვავების შესახებო. საქმე მეტად კარგად მიდის. ხმები საქმის გამწვავების შესახებ საფუძველს მოკლებულია. ინგლისის ფლოტისათვის გაგზავნილი ბრძანება, ამ საქმეს არ შეეხოს და, ალბად, გასაფრთხილებლადაა გამოცემული.—19 ოკდომბერს მეფემ მეტად თავაზიანად მიიღო გრაფი ბენკენდორფი და ნაშუადღევს ინგლისის მთავრობის მიერ შედგენილი პროექტი საერთაშორისო გამომძიებელ კომისიის შესახებ რუსეთის მთავრობას გაეგზავნა პეტერბურგში დასამტკიცებლად ან შესაცვლელად, თუ მთავრობა ამას საჭიროდ დაინახავს.

**რომი.** რუსეთის მთავრობამ ორდენები გაუგზავნა იტალიის კრეისერის «ელბა»-ს აფიცრებს, რომლებმაც დახმარება გაუწიეს «ვარიაგ»-ისა და «კორეეც»-ის მეზღვაურთ.

**გეფლე,** 19 ოკდომბერი (რიტცაუ). საზღვაო სასამართლოში ჩვენება ჩამოართვეს იმ შემთხვევის შესახებ, როცა რუსებმა ყუმბარები დაუშინეს ორთქლ-მავალ გემს «ალდებარან»-ს. კაპიტანმა და შტურმანმა განაცხადეს, არ გვეგონა, თუ პირველად გასროლილი ზარბაზანი უცხო გემის შეკითხვას ნიშნავდაო. კაპიტანმა სთქვა, ამიტომ მხოლოდ ბრძანება გავეცით, შეეცის დროშა გაეშალათ და ბრძანება არ გამიცია დაძახებაზე წესიერის სიგნალით ეპასუხებინათო.

**ტოკიო,** 19 ოკდომერი (რიტცაუ). სამეფო სადგომმა გამოაქვეყნა დეპეშები პორტ-არტურთან მომხდარ ბრძოლათა შესახებ. დანგრეულია ერლუნგშანის ბრუსტვერი, ორი სამალავი და ორი დაფარული სანგარი სუნეტანის სიმაგრისა. გაფუჭებულია ერთი 15 სანტიმეტრიანი ზარბაზანი, ერთი ზარბაზანი დაზიანებულია და გაფუჭებულია აგრეთვე ერთი ზარბაზანი კიკეტანშანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ სიმაგრეში.

21 ოკდომბერი

**მუკდენი,** 19 ოკდომბერი (ბერლინში მიღებული ცნობა). ჯაშუშებისა და ჩინელების ცნობებით, იაპონელები პორტ-არტურიდან იბარებენ ქვეითა ჯარის სამ ბრიგადასა და 50 ზარბაზნს. ეს იმას არა ნიშნავს, რომ იაპონელები ხელს იღებენ პორტ-არტურის ალყაზე. პორტ-არტურში იაპონელებს უთუოდ სხვა ჯარი მიუვიდათ იმის ნაცვლად, რომელიც მიდის.—მუკდენთან როგორც ჩვენი, ისე იაპონიის ჯარი დღე-ღამე მუშაობაშია პოზიციების გასამაგრებლად. იაპონელები ამრავლებენ თავიანთ ბატარეიებს რუსის მარჯვენა ფრთის პირ-და-პირ. ფიქრობენ, რომ იაპონელები მალე გამოილაშქრებენ. გენერალი ორლოვი ხელ-ახლა დაბრუნდა მუკდენს. პრინცი ხაიმე ბურბონელიც დაბრუნდა მუკდენს ვლადივოსტოკიდან.

**ჩიფუ,** 20 ოკდომბერი (რეიტერი). «რეშიტელნიი»-ს მეზღვაურნი შანჰაიში წავიდნენ.

**ლონდონი,** „რეიტერის სააგენტოს“ მიერ ტოკიოდან მიღებულ ცნობებით, იაპონიის მთავრობამ გამოსცა შინაგან სესხის 8 მილიონ გირვანქა სტერლინგის სახელმწიფო ბილეთები. მარტო პირველ დღეს, 18 ოკდომბერს, 6 მილიონზე მოაწერეს ხელი. რადგან ხელის მოწერა მიიღება 25 ოკდომბრამდე, ამიტომ ფიქრობენ, რომ ხელის მოწერა ერთი სამად აღემატება თვით სესხსაო. იაპონიის ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ტაკახაშიმ განუცხადა «რეიტერის სააგენტოს» წარმომადგენელს, რომ ახალ სესხს ხალხი აღტაცებით მიეგებაო. იმის სიტყვით, იაპონიის საფინანსო საქმეები, ომის მიუხედავად, კარგ მდგომარეობაშია; ომს დღემდე გავლენა არა ჰქონია იაპონიის წარმოებაზე. იაპონიაში შეტანილ და იქიდან გატანილ საქონლის რიცხვი შესამჩნევად მატულობს. იაპონელებს ჯერ აზრადაცკი არა აქვთ, მიჰმართონ უცხო ქვეყნის ბაზრებს. იმ სესხის დიდი ნაწილი, რომელიც ამა წლის მაისს ლონდონსა და ნიუ-იორკში იქნა აღებული, ჯერ ისევ ლონდონშია.

**ჩიფუ,** 20 ოკდომბერი (რეიტერი). საერთო იერიში პორტ-არტურთან ისევ არის. პორტ-არტურიდან ჩიფუში ყოველ დღე ზარბაზნის ხმა ისმის. თუ იაპონელნი 50 ათასის კაცის ზარალს არ მოერიდებიან, მაშინ დღეს აიღებენ პორტ-არტურსა. იმ ფორტებს, რომლებიც ოქროს მთაზე, ვეფხის კუდთან და ლიაოტეშანზეა, კიდევ გაუწევენ კარგა ხანს წინააღმდეგობასა, თუნდაც სხვა ყველაფერი დაჰკარგონ. დიდხანს თავის შეკავება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სმხედრო მასალა ბლომად ექნებათ.—გერმანიის ტოკიოელი ელჩი თხოულობს, 24 გერმანიის ქვეშევრდომთ ნება მიეცით ნავით გამოვიდნენ პორტ-არტურიდანო. ადრევ თუმცა ნება მისცეს იმათ გამოსვლისა, მაგრამ მაშინ უარი სთქვეს, რადგანაც თავიანთი ძვირფასი ქონება დანანდათ. ახლა კი, როცა საქმე ძალიან გამწვავდა, იმათ გამოსვლა უნდათ.

**პეტერბურგი.** ათის წლის თავზე ხელმწიფე იმპერატორის ტახტზე ასვლის გამო, პეტერბურგი ბაირაღებით მორთეს. დარი კარგია და ცივი. ტაძრებში გადიხადეს სადღესასწაულო წირვა. სამხედრო ეკლესიებში კი პარადით გადაიხადეს. განსაკუთრებით დიდებულად იდღესასწაულა ყაზანის ტაძარმა, სადაც წირვა შეასრულა მიტროპოლიტმა ანტონმა და დაესწრნენ დიდნი მთავარნი ანდრია ვლადიმერის ძე, დიმიტრი კონსტანტინეს ძე და პეტრე ნიკოლოზის ძე, აგრეთვე მისი უმაღლესობა ჰერცოგი გიორგი გიორგის ძე მეკლენბურგ-სტრელიცკი. პარადისის დროს მიტროპოლიტმა მუხლმდრეკით წაიკითხა დაწესებული ლოცვა. საღამოთი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომილესი დეპეშა ხელმწიფე იმპერატორის სახელზე გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა 21 ოკდომბერს: ღამე, 19 ოკდომბერს, მზვერავები მიიპარნენ მტრის თხრილებთან, დაეცნენ მომუშავე იაპონელებსა, გაფანტეს ისინი და ნამუშავარი დაანგრიეს. თვალსაჩინო შებრძოლების შესახებ ამბავი არა მოსულა რა. მზვერავები ძალიან აწუხებენ იაპონელებსა. იაპონელნი გვესვრიან თოფს უწესრიგოდ და ზარალს ვერ გვაძლევენ. 21 ოკდომბერსაც ამბავი ბრძოლისა არ მოგვსვლია. შენიშნეს იაპონელთა ჯარების გადასვლ-გადმოსვლა აღმოსავლეთიდგან დასავლეთისკენ.

**ჩიფუ.** (რეიტ.). ბოლო დროს იუწყებიან, პორტ-არტურთან იაპონელთ იქნამდე წარჩინებულად წაიყვანეს საქმე, რომ თუ კიდევ მიიტანეს იერიში, უმთავრესს სიმაგრეებს აიღებენო. იაპონელთ იმედი აქვთ, თუ რუსები არ დაგვნებდებიან, შევსძლებთ კიდევ შემაგრებას ლიაოტეშანსა და ვეფხვის კუდზე ერთ თვემდეო.

**ტოკიო.** (რეიტერი). 21 ოკდომბერი. მიკადოს დაბადების გამო დღეს სასახლეში საუზმე იყო გამართული. მიკადო გარეშე სახელმწიფოთა დიპლომატებს სიტყვით შეეგება, რომელშიაც სთქვა: «ჩვენ ვსწუხვართ, რომ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ საწადელსა—მშვიდობის აღდგენას შორეულ აღმოსავლეთშიო».

**ვენა.** (კორ. ბიურო). «ვიენერ ალგემეინე ცაიტუნგ»-მა გამოაცხადა საუბარი პაპის პიოს მე-X-სა. პაპიმ დიდი მწუხარება გამოაცხადა შორეულ აღმოსავლეთის ომის შესახებ და გამოსთქვა, რომ განათლებული ქვეყნები გულგრილად უცქერიან ამ საშინელს სანახაობას და შეერთებულის ძალით არა სცდილობენ ომი შეაჩერონ. ბოლოს პაპიმ გამოსთქვა სურვილი, რომ თვით განგებამ მოუღოს ბოლო ამ სისხლის ღვრასაო.

**გული.** (რეიტერი). გამოძიება ინციდენტის შესახებ გათავდა. სასამართლომ აღმოაჩინა, რომ ხალხი ყუმბარებით დაუხოციათ და არ გაუგებინებიათ. სასამართლომ სიამოვნებით აღნიშნა ორთავე სახელმწიფოს სურვილი, კეთილად დააბოლოვონ საქმე.

**ლონდონი,** 21 ოკდომბერი. (რეიტერი). გუშინ გულში, ჩვენების ჩამორთმევის დროს, ბევრმა მეთევზემ აჩვენა, სათევზაო გემებს შორის არ იყო ნაღმოსნებიო; სათევზაო გემები გარეგნობით სულაც არა გვანან ნაღმოსნებსაო.

**პარიჟი.** 21 ოკდომბერს რუსის აფიცრები, რომელნიც ვიგოდან მოვიდნენ, პეტერბურგს წავიდნენ.

---

რომელიც ქალაქის სკოლებისათვის მასწავლებლებს ამზადებს.

დიაღ, გერმანიის დედა-ქალაქის მაგალითი სწავლა-განათლების საქმეში მეტად საგულისხმიეროა. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მარტოოდენ ბერლინი სწავლა-განათლების საქმეს 50,000,000 მილიონ მანეთზე მეტს ახმარებს, რომლითაც მრავალზე მრავალ სკოლებს აწარმოებს, და მიუხედავად ამისა, კერძო კაცთაც ფართო ასპარეზს უთმობს სწავლა განათლების მოწესრიგების საქმეში.

ჩვენში კი კერძო თაოსნობა სწავლა განათლების საქმეში მეტად შეზღუდულ და განსაკუთრებულ პირობებში სწარმოებს, კერძო სასწავლებელის გახსნას მრავალი ფორმალური დაბრკოლება ეღობება წინ. ამიტომ მთელი განათლების საქმეს ამ ჟამად მთავრობა აწესრიგებს თითქმის. მთავრობას კი ჯერჯერობით იმოდენი ღონისძიება არ მოეპოვება, რომ ყველა სწავლა-განათლების მსურველი დააკმაყოფილოს. ხალხი ამის გამო გაუნათლებელი რჩება. სტატისტიკური ციფირები მჭერმეტყველად ღაღადებს ხალხის გაუნათლებლობა უმეცრების. შესახებ შეერთებულ ამერიკაში 100 სულზე 23 კაცი სწავლობს სკოლაში, საქსონიაში—21, გერმანიაში—19, საფრანგეთში—15, რუსეთში კი მარტოოდენ 3, ჩვენში, კავკასიაში კი, 1000 სულზე ოთხს სამხრეთს გუბერნიებში სწავლობს მხოლოდ 0,7—0,8 ეს უკანასკნელი ციფირი მეტად სამწუხარო და ჩამაფიქრებელი ციფირია. ხალხი უმეცრების მორევში სცურავს და ხალხის მეთაურნი კი ხელებ გულზედ ჩამოჰდობილი შესცქერის ესეთს სამწუხარო სურათს, თითქო ეს გარემოება სრულიად ნორმალური მოვლენა იყოს.

რადგან მთავრობისათვის ამ ჟამად ძნელია სავსებით დააკმაყოფილოს სწავლის მსურველთა მოთხოვნილება, ამიტომ აუცილებლივ და დაუყონებლივ საჭიროა კავკასიის უფლების მქონე წოდებამ, ქალაქების თვით-მართველოებამ და სხვა და სხვა იურიდიულ საზოგადოებამ ერთხმად აღძრან შუამდგომლობა უმაღლესს მთავრობის წინაშე, რომ კერძო თაოსნობას სწავლა განათლების საქმეში ფართო ასპარეზი დაეთმოს. ის დაბრკოლებანი, რომელიც ამ ჟამად კერძო სკოლების დაარსების და წარმოების საქმეს ასე აფერხებენ, შემსუბუქებულ იქმნას. თუ მთავრობის მიერ დაარსებულ სკოლებს კერძო სკოლებმა მხარი არ დაუჭირეს, სწავლა-განათლების საქმე ჩვენში დიდხანს და დიდხანს კიდევ კუს ნაბიჯით ივლის.

ხალხში თვითცნობიერების განსამტკიცებლად ხმის ამაღლება სრულიად კანონიერი უფლებაა, და ვინც ამ კანონიერ უფლების დაცვას არ ინდომებს, იგი ხალხის გულშემატკივრადაც ვერ დაისახავს თავის თავს.

ა. ყუმისთაველი.

## საღამოს დეპეშები.

22 ოქტომბერი.

**პარიჟი**, 21 ოკტ. (ჰავასი). «ტანი» დაწვრილებით ცნობებს იუწყება, თუ როგორს ჩვენებას მისცემს საგამომძიებლო კომისიას რუსის ესკადრის საადმირალო გემის უფროსი აფიცერი კლადო ჩრდილოეთ ზღვაში მეთევზეთა გემების საქმის თაობაზედ. ამ ცნობაში, სხვათა შორის ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ ზღვაში ნათლად ჰხედავდნენ ორ ნაღმოსანს, რომელთა შესახებაც ჯერ ნიშნით აცნობეს სატრანსპორტო გემ «კამჩატკიდგან», ხოლო შემდეგ ნაღმოსნები შეეცადნენ თავი დაესწროთ რუსის ესკადრისათვის. მაშინ ვიცე-ადმირალმა როჟდესტვენსკიმ უბრძანა ესროლეთო, ხოლო სროლა მაშინვე შესწყვიტეს, როგორც კი შეამჩნიეს მეთევზეთა გემი. ჰფიქრობენ, საგამომძიებლო კომისია, ალბად, ჰააგაში შეიკრიბება.

**ტანჟერი**, 21 ოკტ. (რეიტერი). აქ შეიკრიბა ბალტიის მთელი ესკადრა. ყველა აფიცრები თავიანთ გემებზედ წავიდნენ. ესკადრას უკან გაჰყვება გემი, რომელზედაც საყინულეში ჩაწყობილი იქნება ხორცი. რუსის გემების მოსვლაზედ ზარბაზნები ისროლეს.

რუსის ჯავშნიანი გემები: «სისოი დიდი», «ოსლიაბია», «ადმირალი ნახიმოვი» და „დიმიტრი დონელი“ წავლენ ადმირალ ფელკერზამის დროშით სუდის ნავთსადგურში, კრიტზედ. ინგლისის საკრეისერო ესკადრა გაჰყვა რუსის გემებს ვიგოდგან ტანჟერამდე.

**გიბრალტარი**, 21 ოკტ. (რეიტერი). ინგლისის კრეისერნი მისდევდნენ რუსის გემებს ხუთის მილის მანძილზედ. გზაში ინგლისისა და რუსის გემები საომრად მზად იყვნენ. კრეისერი «სიუფფელკი» საჩქაროდ ივსებს საჭირო სურსათ-სანოვაგეს და საღამოს ტანჟერს წავა.

**ჩიფუ**, 21 ოკტ. (რეიტ.). უკანასკნელ ბრძოლებში იაპონელთ დაჰკარგეს 20,000 კაცი, მოკლული თუ დაჭრილი. სავაკეო ქსენონები სულ სავსეა დაჭრილებით. აქამდე პორტ-არტურზედ იაპონელთაგან მიტანილი იერიშები ყველა უკუ-აქციეს. იაპონელთ დაიპყრეს რამდენიმე სიმაგრენი. ფორტების წინ მდებარენი, მაგრამ თვით ფორტები კი ვერ აიღეს. ეხლანდელი ზარალი იაპონელთა უფრო მეტია. ვიდრე წინანდელ იერიშების დროს.

აქ მცხოვრები იაპონელნი ამტკიცებენ, ცუდი ცნობები მივიღეთ სარწმუნო წყაროებიდგანაო. ირწმუნებიან, რომ დალნიში ყოველ დღე 500 დაჭრილი მოჰყავთ. საზოგადო აზრის თანახმად, თუ იაპონელებმა ვერ დაიპყრეს ფორტები, რომლებშიაც ისინი შესძლებენ გამაგრებას, მაშინ მათ მოუხდებათ საზამთრო ალყისათვის მზადება.

**ლონდონი**, 21 ოკტ. (რეიტერი). გულლში მყოფმა ამაფეთქებელ ნივთიერებათა უფროსმა ინსპექტორმა კაპიტანმა ტომპსონმა, დახოცილთა გვამების გასინჯვის დროს, სთქვა: გამოვიკვლიე მეთევზეთა გემები «მულმენი», „მინო“, «ხული» და «სნიპე» დავინახე, რომ მათ მოჰხვედრიათ პატარა ყუმბარები, რომელიც მსწრაფლ-მსროლელ ზარბაზნების სამგირვანქიან ყუმბარებს უდრისო. «მულმეიდს» მოჰხვედრია დიდი ყუმბარა, 15 სანტიმეტრიანი. ტომპსონმა ის აზრი დასკვნა, რომ «მინოს» ოთხის მილის მანძილიდგან გამოსროლილი ყუმბარა მოჰხვედრია, როგორც ნათლად ეტყობა დაჩნეულ სიღრმით. «სნიპეს» შპიკერმა სთქვა რომ ამხანაგობის «ჰომეკოკის» გემები ორმოცამდე იყო და ისე მოქმედებდნენ გემის ბადეების ჩამოყრისა და ალაგების დროს, როგორც ადმირალის ესკადრა ანიშნებდაო, მაგრამ იყვნენ სხვა გემებიც, რომელნიც სხვა გზას დაადგნენ. ყველა მოწმეებმა აჩვენეს ნაღმოსნები ანუ რომელიმე სხვანაირი გემი არ გვინახავს ჩვენს ესკადრაშიო. უცხო ქვეყნის ზოგიერთი სამხედრო გემები თითქმის სულ ახლო მოდიოდნენ მეთევზეებთან. რუსების სროლამ მეთევზეთა გემებზედ გასტანა 10 წუთი. როგორც კი სროლა შესწყდა. დაინახეს რომ გემი «კრენი» იღუპებოდა.

**ტიანძინი**, 21 ოკტ. (რეიტერი). „დეილი ტელეგრაფის“ სპეციალურ კორესპონდენტის გემიდგან შენიშნულ იქმნა, რომ რუსების საცავ-საგერი ადგილები, რომელიც შარშან დეკემბერში ააგეს, ძლიერ გამაგრებულია. იაპონელთა სიმაგრეები უმნიშვნელოა. როგორცა სჩანს, იაპონელთა ჯარებმა ძლიერ ნაკლებად წაიწიეს წინ მტრედის ნავთსადგურის იქითა მხარეზედ. სტესსელის მაღლობის სიმაგრეები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და დაჰყურებს ლიაოტეშანის დასამხარს, ჯერ კიდევ სრულიად უვნებელია ოქროს მთამდე, რომელიც რუსებს უჭირავთ. ცოტათი კვამლი გამოჩნდა ახალქალაქის სახლებზედ, რომელიც იწვის.

**შანჰაი**, 20 ოკტ. (რეიტერი). იაპონიის ლაშქრის მარცხენა ფრთამ, რომელიც პორტ-არტურს ალყად არტყია გარს, დაიპყრო ლიაოლიც-ზუი; მარჯვენა ფრთამ დაიპყრო იძუშანი.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

15 ოკდომბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,60 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,25 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | — |
| ბირჟის დისკონტი | 6—7 1/2 % |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91 7/8 ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 89 მყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 415 წ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 319 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 266 წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4 1/2 % ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4 1/2 % ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. | 89 1/2 ნ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

## საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო**,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.**—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი —ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.


# განცხადებანი

## „ცოდნა“-ს
### წიგნის მაღაზიაში
ისყიდება:

| | |
|---|---|
| დიდი სურათი შოთა რუსთაველისა აკაკის ლექსით ბრესტოლის ქაღალდზედ. | 60 კ. |
| რაჟა სოსიკო მერკვილაძისა. | 20 კ. |
| ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით | 15 კ. |
| რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა. | 10 კ. |
| სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან. | 10 კ. |
| სიმღერა აკაკისა სურათით | 15 კ. |
| წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა | 5 კ. |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები. | 20 კ. |
| კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა | 50 კ. |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული | 50 კ. |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა. | 3— ,, |
| სახოკიასი რუსულ-ქართულად. | 20 კ. |
| სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი | 5 კ. |
| აბში აჩუკი აკაკისა | 30 კ. |
| ვაჭრული ჭკუა აკაკისა | 5 კ. |
| პატარა ჩონგური (დედა ენა) | 5 კ. |
| დათუნა გოცირეძე და რაჭის ერისთავი, როსტ. | 5 კ. |
| ოქროუა (ხალხური ზღაპარი) | 5 კ. |
| სამი ზღაპარი | 10 კ. |
| აბრამის და იობის ლექსი | 3 კ. |
| თამარ მეფე სურათით | 5 კ. |
| სურათი თამარ მეფისა დიდი | 1—50 კ. |
| » » » პატარა. | » 6 კ. |
| თხზულება ია. ეკალაძისა | 1— ,, |
| ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა | ,,—30 კ. |
| თარგმანი იგივე რუსულად | ,,—50 კ. |
| დამაკვირდი, ბრძენთა აზრები | ,,—50 კ. |
| მამიდა ასმათი გ. წერეთლისა | ,,—20 კ. |
| თავ გადასავალი აკაკისა | 1—,, ,, |
| სიტყვიერების თეორია ე. კ. | 1—,, ,, |
| გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი | 1—80 კ. |
| დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი | 1— ,, ,, |
| ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ. | 9— ,, ,, |
| ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით | 3— ,, ,, |
| ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტინიკრ. | ,,—60 კ. |
| ანტონ ქათალიკოზ. ქართ. ღრამატიკა | 1—50 კ. |
| ვახუშტის გეოგრაფია | 2— ,, ,, |
| ისტორ. ისაბუთებ შიო მღვიმის მონასტრ | ,,—50 კ. |
| ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული. | ,,—60 კ. |
| მზა მეტყველება ანტონ ქათალიკოზისა. | 2—50 კ. |
| დავით გურამიშვილი | 1— ,, ,, |
| ქართლის ცხოვრება I, II და III. | 1—80 ,, |
| Вступл. Грузіи въ сос. Имп. Рос. | „—40 к. |
| Исторія Грузинск. церк. Е. К. | 2 р. „ „ |
| კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა | 1— ,, ,, |
| ამირან-დარეჯანიანი | 1— ,, ,, |
| ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტის | 1— ,, ,, |
| რამას განდევნა ალ. ს—შლისა. | ,,—40 კ. |

თხზულებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟაფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

| | |
|---|---|
| საქართველოს დიდება, საბინისასა. | 1—20 კ. |
| სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო. | ,,—5 კ. |

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**



**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

## „ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საათფიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0-6—15)

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში გ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის'. 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

## ლ ა ლ ა ტ ი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წინგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. | 15 კაპ. |
| რაჟა, სოსიკო მერკვილაძისა | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

## ახალი საყმაწვილო ჟურნალი
## „ნაკადული“

სურათებით.

გამოიცემა მცირეწლოვან და მოზრდილ ყრმათათვის თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

**პ რ ო გ რ ა მ მ ა:**

1, მოთხრობა და ლექსები. 2, ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფია, მოგზაურობა. 3, აღმოჩენა-მოგონებათა ქრონიკა. 5, ნარევი: მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეგდოტები, 2, სათამაშონი, გასართობი, რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარიკატურები და სხვ. 6, პედაგოგიური წერილები, 7, მკითხველთა წერილები, 8, ფოსტის ყუთი და 9, განცხადებანი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში **5** მან. ცალკ-ცალკე 3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა რედაქციაში.

გამომცემელი ჟურნალისა კნ. ნინო ელიზ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. / ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზედ, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიმ ივანეს ასულის დემურიასი.

**ხელის მოწერა მიიღება:** რედაქციაში, წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

**ფოსტის ადრესი:** Тифлисъ. Редакція журн. „НАКАДУЛИ“.

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდეთ**, მარტო 4 მან. 90 კაპ., საოცდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

**„ენდოლიანსი“** საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დაღებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა.

(5—6—)


Дозволено цензурою Тифлисъ 22 октября, 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи